მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი
ხეშვანი
№10 (446)
(5779)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ნეთანიაჰუს პროტესტი

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ყოფნისას აშშ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს შეხვდა. ისაუბრეს პალესტინასთან ურთიერთობის რეგულირების საკითხებზე.

სწორედ გენერალური ასამბლეიის მუშაობის დღეებში, 26 აგვისტოს გაეროს კულტურისა და განათლების დეპარტამენტმა **იუნესკომ** გამართა კონფერენცია, რამელიც ანტისემიტიზმთან ბრძოლას ეძღვნებოდა. კონფერენციას ესწრებოდნენ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები, გაეროს თავმჯდომარე ანტონიო გუტიერეში, მიწვეული გახლდათ ისრაელის პრემიერ-ნინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ, მაგრამ ნეთანიაჰუმ იმის გამო რომ იუნესკო ისრაელის მიმართა არასწორ პოლიტიკას ატარებს, პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე:

— ანტისემიტიზმთან ბრძოლის ყოველ ღონისძიებას მივესალმები, მაგრამ გადავწყვიტე **იუნესკოს** მიერ მოწყობილ კონფერენციაში მონაწილეობა არ მივიღო. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ **იუნესკოს** ისრაელის მიმართ აქვს არასამართლიანი და წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულება. 2009 წლიდან მოყოლებული **იუნესკომ** მიიღო ისრაელის გამკიცხავი 71 რეზოლუცია, სხვა სახელმწიფოები კი ორჯერ გაკიცხა — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის ელჩი — თბილისის საპატიო მოქალაქე

საყოველთაოდ ცნობილია, შემოდგომის მზით გაჩახჩახებულ თბილისში იმართება ტრადიციული დღესასწაული ,,თბილისობა.“ 2018 წლის ,,თბილისობა,“ ისე როგორც ადრეული წლებისა, თბილის საპატიო მოქალაქეების არჩევის ცერემონიალით დამთავრდა. წელს თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩეული იქნა 15 პიროვნება — ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი. დაჯილდოებულთა შორისაა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ასევე თბილისის საპატიო მოქალაქედ იქნა არჩეული ისრაელის კიდევ ერთი ელჩი საქართველოში — იუვალ ფუქსი.

გაზეთ ,,მენორას რედაქციას

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა მივულოცო ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ შაბთაი ცურს. ეს არის ფრიად სასიამოვნო ფაქტი, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ქართულ-ებრაულ ურთიერთობას და იგი ახალ გრადაციაში — საქართველო ისრაელის მეგობრობაში გადაჰყავს.

ბატონ ელჩს, მთელ მის ოჯახს გულითადად ვულოცავ ამ ფაქტს და ვუსურვებ შემდგომ წარმატებას.

პატივისცემით სოსო აჯიაშვილი

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის აქტივობანი

1. ვიზიტი უკრაინაში

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით, უკრაინას ეწვივნენ ებრაელი ლიდერები. კონგრესის ხელმძღვანელობის გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში გახლდნენ უკრაინის ებრაული ორგანიზაციების ხელმძღვანელები: სრულიად უკრაინის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ვადიმ რაბინოვიჩი და უკრაინის ებრაელთა კონფედერაციის მეთაური ბორის ლოჟკინი.

უკრაინაში ვიზიტის ცენტრალურ მოვლენად იქცა სამუშაო შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან — პეტრო პოროშენკოსთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან პაველ კლიმკინთან, ამ შეხვედრებისას განხილული იქნა საკითხთა ფართო სპექტრი, რომელიც ეხებოდა უკრაინის ებრაელობის ყოფას და უკრაინისა და ისრაელის ურთიერთობას.

პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან განხილულ საკითხთა შორის მთავარი გახლდათ ანტისემიტიზმი უკრაინაში. პრეზიდენტმა პ. პოროშენკომ დელეგაციის წევრებთან საუბრისას თქვა, რომ უკრაინის ხელისუფლება მკაცრად ებრძვის ანტისემიტურ გამოვლინებებს — განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხებზე. ამასთან ერთად, პოროშენკომ აღნიშნა, რომ უკრაინაში ანტისემიტიზმი მარგინალური ჯგუფების სარბიელია. თუმცაღა, არ შეინიშნება ანტისემიტურ აქციათა ზრდის ტენდენცია. პ.პოროშენკოს აზრით, პრობლემათა რიგი თავს იყრის სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების არაეფექტურ მუშაობაში, რის გამოც რიგი ანტისემიტური აქციებისა, ვერ ღებულობს სათანადო იურიდიულ შეფასებას და დამნაშავე პირები სათანადოდ არ ისჯებიან.

ეაე კონგრესის პრეზიდენტმა მიხ. მირილაშვილმა განსაკუთრებულად წარმოაჩინა ჰოლოკოსტის ისტორიის ობიექტური შესწავლისა და სწავლების მნიშვნელობა. ხაზი გაესვა იმას, რომ ეაე კონგრესი მზად არის ყოველმხრივი მხარდაჭერა აღმოუჩინოს უკრაინელ პედაგოგებს, რათა მათ

იერუსალიმის იად ვაშემის მუზეუმში გაიარონ სათანადო კურსები, უკრაინაში კი განახორციელონ ისრაელელი სპეციალისტების ვიზიტები.

გარდა სამთავრობო წრეებთან ოფიციალური შეხვედრებისა, ეაე კონგრესის დელეგაცია ესტუმრა სოფელ ანატემკაში განლაგებულ ებრაული სათემო ინსტიტუტების კომპლექსს.

ეაე კონგრესი გახლავთ მონაწილე ამ კომპლექსში განლაგებული საგანმანათლებლო და სოციალური ინიციატივების პროგრამისა, რომლის მიზანიც ებრაული განათლებისა და თემის ხელმოკლეთათვის დახმარებაა.

დელეგაციამ მოინახულა ბაბიი იარის მემორიალური კომპლექსი, კიევის მთავარი ბეით ქნესეთი, შეხვდა ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და რაბინებს.

(დასასრული მე-8 გვერდზე) ⟶

იკითხეთ გაზეთ ,,მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ა რ ი ს ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი ვ ა !

ეფრაიმ მიხაელი — აშდოდის მერად!

მერობის კანდიდატის მიმართვა ქალაქის მოსახლეობას

მთელი ჩემი სიცოცხლე ქვეყანასა და ხალხს ვემსახურები, დადგა დრო ვემსახურო აშდოდსა და მის მოსახლეობას!

პოლიტიკაში ენერგიით აღსავსე მოვდივარ, იმისათვის, რომ აშდოდის ყოველი მოსახლის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, ცხოვრება უკეთესი გავხადო, პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ მაქვს მოქმედების უნარი, ხედვა, ფასეულობათა სისტემა და გაბედულება.

გავერთიანდეთ და ერთად მოვახდინოთ ცვლილებები : მე ვარ მერობის ერთადერთი ახალი კანდიდატი — სხვა კანდიდატებს უკვე 15 წელზე მეტია ქალაქის საბჭოში მოურთხამთ ფეხი და წასვლას კიდევ არ აპირებენ. მოდით, ყველამ ერთად ვუთხრათ მათ: იმუშავეთ? დიდი მადლობა, გზა მშვიდობისა!

ამჯერად არის ერთადერთი კანდიდატი და ერთადერთი სწორი არჩევანი: ხმა მისცეთ პატიოსან, სახელგაუტეხელ, პრაქტიკული მოღვაწეობის დიდი გამოცდილებისა და დიდი ნამსახურობის მქონე პიროვნებას:

მიაქციეთ ყურადღება ეფრაიმ მიხაელის ნუსხას:

- ბიზნესის მართვის მეორე აკადემიური ხარისხი,
- მაღალი ჩინის დიპლომატი, რომელიც რუსეთში ისრაელს სამხედრო პრეს-ატაშეს რანგში წარმოადგენდა.
- 30 წელი მსახურობდა ცახალში და თავდაცვის სამინისტროში,
- წამყვანი სახელმწიფო კომპანიების დირექტორთა საბჭოს წევრი.

როგორ ხედავს ეფრაიმ მიხაელი აშდოდის მომავალს?

პერსპექტივაში აშდოდს ვხედავ სიცოცხლით სავსე, შეუსვენებელი მოქმედების ქალაქად.

პირობას ვდებ:

ახლომდებარე დასახლებული პუნქტების ხარჯზე გავაფართოვო ჩვენი ქალაქის საზღვრები,

ჩვენს ქალაქში გავზარდო უცხოური ინვესტიციები,

ყველა ბაგა-ბაღში დაიდგმება სამეთვალყურეო კამერები

ბავშვებისათვის, რომლებსაც განსაკუთრებული — განსხვავებული სწავლა ესაჭიროებათ, აშენდება საბავშვო ბაღები და სკოლები, მათზე პასუხისმგებლობას ქალაქის მუნიციპალიტეტი აიღებს.

გადავწყვეტთ ტრასებზე გადატვირთული მოძრაობისა და პარკინგების მომრავლების საკითხს.

გასართობი ადგილები და პარკები უფასო იქნება აშდოდის მცხოვრებთათვის, ფასიანი — სხვა ქალაქებიდან ჩამოსულებისათვის.

კანტრი-კლუბების დაუყონებლივი მშენებლობა და განვითარება

დაინტერესებული პირები ვერა-რა გავლენას ვერ მოახდენენ ქალაქის ხელმძღვანელობაზე.

საერთოდ, ქალაქის მცხოვრებთა უპირატესობა, ხოლო ქალებს უპირატესობა მიენიჭებათ მუნიციპალურ კონკურსებში, ხალხის რჩეულთა, მერიისა და მისი ორგანოების მოღვაწეობის სრული გამჭვირვალობა,

უკომპრომისო წესიერება,საქმე ლაპარაკის ნაცვლად!

ამჯერად თქვენ გაქვთ ალტერნატევა!

შემომიერთდით, ერთად შევცვალოთ ჩვენი საყვარელი ქალაქი!

www.efraimmichaeli.co.il

გაზეთ „მენორა“-ს რედაქცია თავის მკითხველთან ერთად გულითადად მიესალმება ბ-ნ ეფრაიმ მიხაელის - მიხელაშვილის კანდიდატურას ქალაქ აშდოდის მერად.

იმედი გვაქვს აშდოდის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ქართველი ებრაელობა მხურვალედ დაუჭერს მხარს ეფრაიმ მიხაელის კანდიდატურას.

გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს გ ი ს ურ ვ ე ბ თ , ბ ა ტ ო ნ ო ე ფ რ ა ი მ !

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

დიდი გზის დასაწყისი

(ინტერვიუ ლიკა მიხელაშვილთან:)

First Global არის რობოტიკის საერთაშორისო შეჯიბრი, რომელშიც ყოველწლიურად 160-ზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას. შეჯიბრის მიზანია ახალგაზრდებს გაუღვივოს ინტერესი STEM-ის დარგში. First Global არის სივრცე, რომელიც ტექნოლოგიებითა და მეცნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას, გამოხატონ თავიანთი იდეები, გამოიმუშაონ თანამშრომლობის უნარი და ყურადღება მიმართონ მსოფლიოში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებისკენ და მოიფიქრონ გამოსავალი მათ გადასაჭრელად. წლევანდელი ოლიმპიადის თემა ენერგოეფექტურობა იყო. საქართველოს სახელით რობოტიკის გუნდი წელს მეორედ იღებდა მონაწილეობას. შარშან საქართველოს გუნდმა შეძლო 160-ზე მეტ ქვეყანას შორის მე-14 ადგილი დაეკავებინა. წელს კი ეს შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესეს და სამშობლოში ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. ამ გუნდის ერთ-ერთი წევრია მეთორმეტე კლასელი ლიკა მიხელაშვილი, რომელსაც ჩვენი კორესპოდენტი თაკო შუკაკიძე გაესაუბრა.

— მოგესალმებით ლიკა, გვიამბეთ პროექტში მიღებული გამოცდილების შესახებ.

— გამომდინარე იქიდან, რომ FIRST global-ში 193 გუნდი მონაწილეობდა 183 ქვეყნიდან, განსხვავებული კულტურისა და ბექგრაუნდის ხალხს შორის მოვხვდით, რაც შეჯიბრს უფრო სახალისოს და ამასთანავე შემეცნებითს ხდიდა. გავიცანით ადამიანები ისეთი ქვეყნებიდან, რომლებზეც აქამდე საერთოდ არაფერი გვსმენია. გავიჩინეთ მეგობრები, რომლებთანაც დღემდე გვაქვს ახლო კონტაქტი და ურთიერთობის გაგრძლებას ვაპირებთ.

რაც შეეხება თვითონ რობოტიკას, არაჩვეულებრივი გამოცდილება მივიღეთ ინჟინერიის სფეროში. გავეცანით დეტალებს და შევეცადეთ რაც შეიძლება კარგად მოგვერგო რობოტის ფუნქციები თამაშის დიზაინისთვის. მაგალითად რობოტის ხელი, რითიც ყუთებს იღებს, რამდენჯერმე დავშალეთ და თავიდან ავაწყეთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკეთესი ვარიანტი შეგვექმნა.

ჩემთვის ეს გამოცდილება პირველი იყო ინჟინერიის და რობოტიკის სფეროში. ძალიან საინტერესო სფეროა, თუმცა, სწავლის გაგრძელებას ეკონომიკისა და სოციოლოგიის განხრით ვაპირებ. მიუხედავად ამისა, ამ პროექტმა შემძინა ისეთი უნარები, რაც ნებისმიერ სფეროში გამომადგება, როგორიცაა სწორი სტრატეგიების დასახვა, ძირითადი ინჟინერიის ცოდნა და კომუნიკაცია სხვადასხვა წარმოშობის ადამიანებთან. ვაპირებ შემდეგ წლებშიც მივიღო მონაწილეობა ასეთი რობოტიკის შეჯიბრებებზე.

დისციპლინა გამარჯვების საწინდარია!

ცხოვრებასთან დიალოგში მთავარი მისი შეკითხვები კი არა, ჩვენი პასუხებია. რაოდენ სწორი აღზრდა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ძირეულად ესმოდეს ზემოთქმულის სიბრძნე. ასეთი აღზარდეს თემში ცნობილმა და პატივცემულმა ზაზა და ლია იაკობაშვილებმა თავიანთი ვაჟი — მიხეილი. ზაზა თელ–ავივის ოლქის კარდეოლოგთა უფროსია. მის დაქვემდებარებაში სამი დიდი კარდეოლოგიური ცენტრი შედის. ლია სოციალური მომსახურების საზოგადოება „რეუთის“ ფინანსისტია. მიშიკოს და — თეა ბიოლოგია, მაგრამ საბანკო საქმე შეისწავლა და ამ სფეროში საკმაო წარმატებასაც მიაღწია.

მიშიკო 4 წლისა იყო, როცა მათი ოჯახი ისრაელში ამოვიდა. თბილისში გატარებული ბავშვობიდან ახსოვს ეზოში ბურთის თამაში და ბებია ლალისთან სეირნობა. ახალამოსულთათვის არ იყო იოლი აბსორბციის ბარიერების გადალახვა, მაგრამ ზურგს უმაგრებდნენ ბებია ლალი და ბაბუა მიხეილ პაპისმედოვები, რომელთაც ბავშვებზე ზრუნვა იკისრეს, რათა ახალგაზრდებს ახალ ქვეყანაში გზა გაეკვლიათ.

მიშიკო იხსენებს, თუ როგორ მიაბარეს მისი დაიკო ინგლისურზე კერძო მასწავლებელს და მას ტირილი დაუწყია, მეც მინდაო. ბავშვის დასამშვიდებლად მასწავლებელთან ისიც წაუყვანიათ და საცდელი გაკვეთილის შემდეგ, აღარც მიუტოვებია. უფრო მეტიც: ამბობს, ქალბატონმა ქეთინომ არა მარტო ინგლისური, საერთოდ სწავლა შემაყვარაო. მიშიკო დადიოდა ძიუდოზე, უკრავდა გიტარაზე. სკოლაში კი, ყველაზე მეტად ზუსტი მეცნიერებები აინტერესებდა: ქიმია, მათემატიკა, ბიოლოგია და დღემდე განუყრელი კომპიუტერული მეცნიერება. ყველა საგანში ხუთ ერთეულიანი სრული სიმწიფის ატესტატი მიიღო. კალათბურთში სკოლის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. „ათუდას“ უფლებით ხაიფის ტექნიონიდან მოუვიდა მიწვევა, მაგრამ მან „ცაჰალის“ პრეს-ცენტრში სამსახური არჩია. ეს ქვეგანაყოფი საინფორმაციო ბრძოლას უცხადებდა ანტიისრაელურად განწყობილ ქვეყნებს, რომლებიც განგებ არიდებდენ თვალს ფაქტებს, რომლებიც ჩვენი რეგიონის კონფლიქტებთანაა დაკავშირებული.

მიშიკომ ჯარში მოსამზადებელი კურსი გაიარა და სულ მალე მეთაურის თანაშემწედ დანიშნეს. მათ სრულიად ახალი პლატფორმა შექმნეს — სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამებით ახერხებდნენ უზუსტესი ვიდეოკადრებით შეედგინათ სრული სურათი, თუ როგორ აფრთხილებდენ ღაზის სექტორის ამა თუ იმ შენობაში თავშეყრილ ადამიანებს გაენთავისუფლებინათ მიმდებარე ტერიტორიებიც კი, რათა ევაკუაციის შემდგომ ,,ხამასის“ იარაღის სამალავები აეფეთქებინათ. ეს ინფორმაცია საერთაშორისო პრესცენტრებს ინგლისურ ენაზე მიეწოდებოდათ ,,ტვიტერით“, ,,ფეისბუქითა“ და ინტერნეტის სხვა საშუალებებით. ამის შემდეგაც **CNN** არაფერს გადმოსცემდა. გენშტაბის უფროსმა, გაბი აშქენაზიმ, შეაფასა რა მათი სამსახური, თქვა:

— ფართო მასებამდე ამგვარი ინფორმაციის მიტანა, ადასტურებს ისრაელის არმიის სიმძლავრესა და მის მზადყოფნას ნებისმიერი საომარი ოპერაციისათვის.

— ღამ-ღამობით უფრო მეტს ვმუშაობდით. ჩვენ ვიცოდით, რომ ,,ხამასისთვის“ უცხოელი ჟურნალისტებიც კი, ცოცხალი ფარი იყო და მათ უკან ტერორისტული აქტები იგეგმებოდა. ჩვენი სტრატეგიით ,,ხამასის“ სიცრუეს ფრანგულ, ესპანურ და რუსულ ენებზეც სიმართლეს ვუპირისპირებდით და ვიმარჯვებდით-- ამბობს მიშიკო.

— თუ იყო შემთხვევა, რომ ვინმეს გამბედაობა არ ეყო და მარათონიდან გავიდა?

— როდესაც კურსის მეთაურად დამნიშნეს, გარდა იმისა,რომ ახალბედა ჯარისკაცები უნდა მომემზადებინა, მათთან მეგობრული ურთიერთობაც უნდა შემენარჩუნებინა და დისციპლინაც მომეთხოვა. ერთმა ეთიოპელმა ჯარისქალმა ამ ყველაფერს ფეხი ვერ აუწყო და მიტოვება განიზრახა. ჩემმა შეგონებამ, რომ ის არავიზე ნაკლები არ არის, რომ ამ სამსხურის საბუთი მწვანე შუქია სამომავლო კარიერაში, ფრთები შეასხა და სამხედრო სამსახური ძალიან კარგად გაიარა — მიპასუხა მიშიკომ და განაგრძო — ქიფურის ომის 45 წლისთავთან დაკავშირებით, ინტერაქტიული პროექტი დავამუშავეთ. ქრონოლოგიური კადრებით ინტერნეტფილმი მოვამზადეთ. მცირერიხოვანმა არმიამ, 21 დღის განმავლობაში, როგორ დაახევინა მტერს უკან და ისტორიაში კიდევ ერთი, შეუდარებელი გმირობა ჩაიწერა.

სამხედრო სამსახურის სამი წელი მიიწურა და გათავისუფლების დღიდან მიშიკო მუშაობას იერუსალიმში, ერთ-ერთ ამერიკულ ფირმაში იწყებს, ეს ფირმა საზღვარგარეთ დოკუმენტური მასალების გავრცელებას ემსახურებოდა. მაგალითისთვის პარაშუტისტებზე გადაღებული ფილმიც იკმარებდა. პარალელურად, იმდროინდელი თავდაცვის კომისიის თავმჯდომარის შაულ მოფაზის სამდივნოშიც მუშაობდა. იგი თავად ათავსებდა ,,ტვიტერსა“ და ,,ფეისბუქში“ შაულ მოფაზის მასალებს.

ამის შემდეგ მიხეილ იააკობი თელ–ავივის უნივერსიტეტის ბიოლოგიური და სამედიცინო ინჟინერიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. დღევანდელი მედიცინა თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ნებისმიერ ხელსაწყოს ელექტრო ინჟინრები ანვითარებენ, იქნება ეს CT Tu MRI.

— ამ ფაკულტეტზე სწავლა რატომ მოგინდა, ასეთი ინტერესი რამ განაპირობა? — ვეკითხები.

— არ გამოვრიცხავ, რომ მამაჩემის გავლენა იყო. მე უფრო რეალისტი ვარ და შევათავსე ორი საინტერესო სამყარო: ტექნოლოგია და მედიცინა. ზემოთხსენებულ ფირმაში კონსულტანტად სტუდენტობის პერიოდშიც განვაგრძობდი მუშაობას.

უმაღლესი ქულებისა და მომზადების დონის საფუძველზე, მიხეილმა თავად დეკანისგან მიიღო ქების სიგელი. მან მალე საკუთრ პროექტზე დაიწყო მუშაობა. საინჟინრო საქმეში მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ოფერ ბარნეა გახლდათ, ხოლო სამედიცინო კონსულტანტი — მამა — ზაზა იაკობაშვილი, რომელიც ამავე უნივესტიტეტში ლექციებს კითხულობს კარდეოლოგიაში. ეს პროექტი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, რამეთუ, მის მიერ დამუშავებულ ხელსაწყოს, ბევრად უნდა გაეუმჯობესებინა და გაეადვილებინა საავადმყოფოს მიმღებში მომუშავე მედპერსონალის არც თუ ისე იოლი სამსახური. ეს გახლავთ კარდიოგრამის უახლესი აპარატი, რომლითაც აღიჭურვება ნებისმიერი საავადმყოფოს მიმღები. იგი გულის პრობლემების მქონე ადამიანებს დაეხმარება. ავადმყოფები მიმღებში რიგების გვერდის ავლითა და დამღლელი ლოდინის გარეშე, თავადვე გაიკეთებენ კარდიოგრამას და



საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ განყოფილებაში ჩაუტარდებათ შესაბამისი პროცედერები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მიხეილ იააკობი მუშაობას იწყებს „მელანოქსის“ კომპანიაში, რომელიც თელ–ავივში, რამათ ჰახაიალიში მდებარეობას. აქ 3000 ადამიანია დასაქმებული. მიხეილი ელექტრო ინჟინერია და სილიკონის „ჩიპებზე“ მუშაობს. ეს კი კომპიუტურების ის მნიშვნელოვანი დეტალია, რომელიც პასუხს აგებს ყველანაირ გამოთვლაზე, ინფორმაციის დამუშავებასა და სხვა.

— ეს სფერო ძალიან საინტერესოა, მაგრამ მედიცინას სამუდამო დაეთხოვე?“

— შესაძლებელია კიდეც დავუბრუნდე იმდენად, რამდენადაც მედიცინაც ახლობელია ჩემთვის. მე მამასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, სასაუბრო თემაც საერთო. ერთნაირი მუსიკა გვიყვარს და კონცერტებზეც ერთად დავდივართ. საერთდ, ოჯახურ თავყრილობებს არაფერზე გავცვლი. ჩემი დისშვილის განებივრება, განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის.

ამ ენაწყლიანმა, ახოვანმა, ათლეტური გარეგნობის ლამაზმა ახალგაზრდამ შესაკითხიც აღარაფერი დამიტოვა.

იცნობდეთ, ისრაელის არმიის წარჩინებული, პრეს-ცენტრის გამოცდილი სპეციალისტი, პროგრამისტი, სამედიცინო, ბიო და ელექტრო ინჟინერი, მიხეილ იაკობაშვილი!

ლია კრიხელი
ისრაელი, 2018 წ. აგვისტო

„კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეები“

30 სექტემბერს, თბილისში აღინიშნა "კულტურული მემკვიდრეობის ევროპული დღეები", რომელიც გაიმართა საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორის, გივი ღამბაშიძის და საერთაშორისო ფონდი „ლეა"&ებრაელ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელის მარინე სოლომონიშვილის ორგანიზებით.

მოხსენებით გამოვიდნენ: მარინე სოლომონიშვილი - "ევროპასთან საქართველოს ინტეგრირების კულტურული ხიდები" და "ებრაული კულტურის ევროპული დღეები" გივი ღამბაშიძე - „მუზეუმი - მშვიდობის სივრცე", მოხსენება, წარმოდგენილი ებრაული არქიტექტურის მესამე საერთაშორისო კონგრესზე - "სინაგოგა და მუზეუმი", (ბრაუნშვეიგი, გერმანია, 2017).

მარინე სოლომონიშვილმა მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი გრაფიკული ნამუშევრები . ასევე, წარმოდგენილი იყო ვირტუალური პრეზენტაცია: „თანამედროვეებრაელი მხატვარი ქალი როგორ ასახავს მის ეთნიკურ იდენტობას" -მარინესოლომონიშვილის გრაფიკული ნახატები.

მომღერალმა ნაზი სარჯველაძემ შეასრულა რომანსები.

დამსწრეთ იხილეს საინტერესო დოკუმენტური ფილმები: "მუზეუმის საიდუმლოებანი -იერუსალიმის ებრაული მუზეუმი"; „ამბავი კაიროს გენიზადან"-ისრაელის ეროვნულიბიბლიოთეკა.

საღამოზე გაიმართა საინტერესო პროფესიული დისკუსია.

გივი ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ საქართველო კულტურათა დიალოგის ერთ ერთ პოზიტიური მაგალითია, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართულ-ებრაული ურთიერთობების აქცენტირება მნიშვნელოვანია ხალხთა შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყურადღებას უთმობს ებრაულ კულტურულ მემკვიდრეობას. 2018წლის 28 მარტს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობის ტრადიციას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

შალვა წიწუაშვილმა (ებრაული მუზეუმის ყოფილი დირექტორი) ისაუბრა საქართველოს ებრაული მუზეუმის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის "საქართველოს ებრაელთა პროზა" პრეზენტაციაზე და რომ გეგმავს საქართველოს ებრაელი მხატვრების თაობაზე წიგნის გამოცემას.

მარინე სოლომონიშვილმა ისაუბრა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის საკითხზე, ხაზი გაესვა, საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციისათვის რაოდენ მნიშვნელოვანია ებრაული და სხვა ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობა და წარმოჩენა . აღნიშნა, რომ 2018 წელს, 29 და 30სექტემბერს აღინიშნებოდა ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დღეები, სლოგანით: ,,ჩვენი მემკვიდრეობა: სადაც წარსული ხვდება მომავალს". 2017 წლის 7 დეკემბერს მილანში ევროპის კულტურულ ფორუმზე 2018 წელი ოფიციალურად გამოცხადდა კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წლად, რომლის ძირითადი მიზანი კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობაა ევროპასა და სამეზობლო ქვეყნებში.

მ.სოლომონიშვილმა ხაზი გაუსვა მეორე მნიშვნელოვან საკითხს: 2018 წლის სექტემბერში, აღინიშნებოდა „ებრაული კულტურის ევროპული დღე",სლოგანით„ნარატივი". (1999 წელს, პარიზში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე დადგინდა ებრაული კულტურის დღე — 6 სექტემბერი, მას შემდეგ ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება ევროპის 30-ზე მეტ ქვეყანაში). 2014 წლიდან ამ დღის ორგანიზებაში საქართველო მეოთხედ მონაწილეობს ქ-ნ მარინეს ინიციატივით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუზეუმის, ებრაული სათემოს, სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური სათემოს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები.

მარინე სოლომონიშვილი

„საქართველოს ებრაელთა პროზა“

ისრაელში საქართველოს ებრაელობის კვლევის ცენტრმა და სსიპ დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმმა მოამზადა და გამოსცა თითქმის რვაას გვერდიანი კრებული ,, საქართველოს ებრაელთა პროზა".

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი გახლავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შალვა წიწუაშვილი, სარედაქციო კოლეგიის წევრები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გერშონ ბენ ორენი (წიწუაშვილი), პოეტი ნანა შაბათაშვილი-დავარი, მწერალი, პუბლიცისტი ნუგზარ ჯანაშვილი, რომელიც კრებულის წინათქმაში აღნიშნავს: ,,უძველესი ქართული წარწერა დათარიღებული ჩვ.წ.433 წლით, აღმოჩენილია დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე, რომელიც მთელი 60 წლით უსწრებს ბოლნისის სიონის წარწერას".

წიგნში შესულია ორმოცდაათამდე ავტორის ნაწარმოები. აქ არიან როგორც საყოველთაოდ ცნობილი მწერლები, ასევე ავტორები, რომელთა ნაწერს შორეული კავშირი აქვს პროზასთან.

თეთრ სახლში

„ხაბადის" ემისარი ვაშინგტონში რაბი ლევი შემტოვი ოთხი სახის მცენარეულით — ლულავით — მივიდა თეთრ სახლში, რათა აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ათეულობით ებრაელი თანამშრომლებისათვის მიეცა ლულავის კურთხევის საშუალება. სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ აკურთხებს ლულავს აშშ პრეზიდენტის ქალიშვილი, იუდეველი ივანკა ტრამპი.

ლონდონის ცენტრში

The jewish Press-ი იუწყება, რომ ბრიტანეთის სამეფოს არსებობის ისტორიაში პირველად დღესასწაული სუქოთი იმით აღინიშნა, რომ ლონდონის ცენტრში რიტუალური კარავი — სუქქა დაიდგა.

კარავი — სუქქა მეფე ჩარლზის ქუჩაზე, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის შენობისა და დაუნინგ სტრიტის მეათე ნომერი სახლის სიახლოვეს გამართეს.

კონცერტები, წინა საიუბილეო მილოცვები



მართალია, კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილს დაბადების 70-ე წლისთავი ნოემბერში უსრულდება და სავარაუდოა, ქართველ ებრაელთა მომრავლებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავის სიტყვას იტყვიან, საქართველოში კი ორი თვით ადრე გახმიანდა ცნობილი კომპოზიტორის მოახლოებული საიუბილეო თარიღი: წელს მეათედ ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. 2 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში სწორედ ფესტივალის ფარგლებში შესრულდა იოსებ ბარდანაშვილის „კონცერტი ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, რომელიც კომპოზიტორმა 30 წლის წინათ სწორედ ლიანა ისაკაძის დაკვეთით დაწერა.

ფესტივალის დირექტორმა კონცერტის დაწყების წინ იოსებ ბარდანაშვილს გულითადად მიულოცა მოახლოებული საიუბილეო თარიღი, ისაუბრა მის შემოქმედებაზე, იმ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რომლებმაც კომპოზიტორს შემოქმედებითი აღიარება მოუტანა.

ბათუმში ჩატარებულ საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე კი იოსებ ბარდანაშვილი მშობლიურ ქალაქში საგანგებოდ გახლდათ მიწვეული. ფესტივალის დღეებში რამდენიმე მოღვაწე ქართული კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვეს — ერთ-ერთი პირველთაგანი იოსებ ბარდანაშვილი გახლდათ. ის ხომ ერთობ ნაყოფიერად მუშაობს ქართულ კინოში — ჩინებული ქართველი კინორეჟისორები სწორედ მას სთხოვენ შექმნას მუსიკა მათი ფილმებისათვის. ეს დაჯილდოებაც იუბილეს უსწრებდა წინ.

იოსებ ბარდანაშვილის კინო და თეატრალური მუსიკა საუბრის კიდევ ერთი თემაა. ეს სექტემბრის ბოლო დღეებში საქართველოში განხორციელებულმა დიდმა საერთაშორისო პროექტმაც დაადასტურა — ქართულ-გერმანულმა პროექტმა დიდი ყურადღება მიიქცია. უფლისციხის არქიტექტორულ მუზეუმ-ნაკრძალში — უადრესი საუკუნეების კლდეებში ნაკვეთ ქალაქში ქართველი და გერმანელი ხელოვანების ინიციატივითა და მონაწილეობით ღია ცის ქვეშ, კლდეთა შორის წარმოდგენილი იქნა ლაშა ბუღაძისა და კლაუდია რუშჩის „პრობლემური ვახტანგური", რომელშიც განხილულია თანამედროვე საქართველოს ყოფა. ეს სპექტაკლი მუსიკალურად იოსებ ბარდანაშვილმა და გერმანელმა კომპოზიტორმა ვოლფანგ მოტერმა წარმოადგინეს — 28, 29 და 30 სექტემბერს — სპექტაკლის პრემიერაზე უფლისციხის ქვათა საუფლოში ხშირად გაისმოდა ტაში, რომელიც 70 წელს მიღწეულ იოსებ ბარდანაშვილსაც ეკუთვნოდა.

ისრაელელი პროფესორები საქართველოში

საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2016 წელს დააფინანსა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით, ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტი „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ (I- 2016-32), რომლის უცხოელი სამეცნიერო ხელმძღვანელი არიელის უნივერსიტეტის (ისრაელი) პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაულ თემთა კვლევის ინსტიტუტის ხელძღვანელი რეუვენ ენოხი გახლავთ, ხოლო პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი თამარ ლომთაძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

პროექტის ძირითადი მონაწილეები არიან: კოორდინატორი, პროფესორი ლალი გულედანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი ც. ჯანჯღავა თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ახალგაზრდა მეცნიერების სტატუსით პროექტში მონაწილეობენ დოქტორანტი ანა კვირიკაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მაგისტრი რიტა ჯაიანი — თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლინგვისტმთარგმნელი.

პროექტის მიზანია ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა ისრაელში, რაც პრაქტიკულად მანამდე არ განხორციელებულა. სარწმუნოებასა თუ ადათ-წესებთან ერთად, ქართველ ებრაელებს სხვებისაგან განსხვავებული მეტყველება რომ ახასიათებდათ, ეს ყველასათვის ნათელი იყო, თუმცა, ამ მეტყველების შესწავლას სერიოზული ყურადღება თავის დროზე არ მიქცევია. მიზეზი, საბჭოთა რეჟიმი გახლდათ, რომელმაც ებრაელთა იდენტობის ეროვნული გამოხატულებები შეზღუდა და ამიტომაც ასეთი კვლევები აკრძალა.

დამოუკიდებელ საქართველოში აღნიშნული მიმართულებით კვლევებმა იმატა, თუმცა, ებრაელთა ძირითადმა ნაწილმა საქართველო დატოვა გასული საუკუნის 70-იან, ხოლო შემდეგ, 90-იან წლებში და ისრაელში (ასევე სხვა ქვეყნებშიც) გადავიდა საცხოვრებლად. ამიტომაც საქართველოში ებრაელთა მეტყველების ლინგვისტურ მაჩვენებელთა შესწავლის ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს თანამედროვე ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლა ისრაელში. პარალელურად, აღნიშნული მასალა მოგვცემს შესაძლებლობას, დავაფიქსიროთ ქართული ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციები, განსხვავებულ ენობრივ გარემოცვასა, თუ ენობრივ სიტუაციაში.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, ისრაელში მასალის ჩასაწერად და სამეცნიერო ლიტერატურის გასაცნობად იმყოფებოდნენ პროექტის წევრები, რომლებმაც იერუსალიმის, თელ-ავივის, ბათ-იამის, ხულონის, აშდოდის, ხაიფის, ნაჰარიის და სხვა ქალაქების ქართველ ებრაელთემთა, თუ ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწე ქართველ ებრაელთა დახმარებით, მოიპოვეს მასალები, რომლებიც ფასეულია როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ასევე ეთნოლოგიური, ისტორიული, ინტერდისციპლინარული და ინტეგრირებული კვლევებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მოპოვებულ მასალას ქართველურ და სემიტურ სივრცეში, ქართულ-ებრაული ენობრივი თუ კულტურული ურთიერთობების კვლევისათვის უნიკალური წყაროს მნიშვნელობა ექნება.

პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე დაგეგმილი იყო საერთაშორისო ვორკშოპის ჩატარება სამეცნიერო ხელმძღვანელის მონაწილეობით, რომელიც გაიმართა 25 სექტემბერს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში. სამუშაო შეხვედრა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა და პროექტის წევრების გარდა, მონაწილეობდნენ სხვა უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები. ვორკშოპი გახსნა თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა-- პროფესორმა ნანა მაჭავარიანმა. საზოგადოებას მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი ვაჟა შენგელია. შესავალ სიტყვაში პროფესორმა რეუვენ ენოხმა ვრცლად ისაუბრა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაზე. პროექტის წევრებმა წარმოადგინეს მოხსენებები გაწეული სამუშაოების შესაბამისად. შეხვედრამ დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მომდევნო დღეებში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან პროფესორ რეუვენ ენოხთან და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორთან კონსტანტინე ლერნერთან გაიმართა კონსულტაციები,რომლის დროსაც დაწვრილებით იმსჯელეს ჩატარებული სამუშაოების შედეგებისა და სამომავლო საქმიანობის შესახებ.

თანამედროვე გლობალიზაციისა და ურბანიზაციული პროცესების გათვალისწინებით, აღნიშნული მეცნიერული სამუშაოს დროულად შესრულება მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანასა და ვალდებულებას წარმოადგენს.

26 სექტემბრიდან პროექტის მონაწილეებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გადაინაცვლეს, სადაც გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი.

ენათმეცნიერების სექციის ხელმძღვანელები გახლდნენ არიელის უნივერსიტეტის პროფესორი რეუვენ ენოხი და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი კონსტანტინე ლერნერი. რეუვენ ენოხმა წარმოადგინა მოხსენება „ვეფხისტყაოსნიდან წმინდა წიგნების ქართველ ებრაელთა მიერ შესრულებულ თარგმანებამდე - ენობრივი პარალელები“, ხოლო კონსტანტინე ლერნერის მოხსენება ეხებოდა „ფსალმუნი 120 (119) 5 და მისი მნიშვნელობა პროტოქართველურ ტომთა ისტორიისათვის“.

ისრაელის უნივერსიტეტის პროფესორებთან ინტენსიური კავშირი კიდევ უფრო ნაყოფიერსა და მნიშვნელოვანს ხდის ქართველოლოგიურ კვლევებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი დიასპორის მქონე ებრაელი ხალხის სამეტყველო ენების შესწავლა მათი განსახლების მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი სფეროა ებრაისტიკაშიც. ამგვარი ურთიერთობის გარეშე, შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენა და გააზრება ებრაულ-ქართული ენობრივი სამყაროსი, რომელიც ინტერესს აღძრავს უამრავ მკვლევარს შორის, არამარტო საქართველოსა და ისრაელში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ებრაული დიასპორები კომპაქტურად ცხოვრობდნენ.

სწორედ ამიტომაა, რომ ქართველი და ებრაელი მკვლევრების ინტენსიურ კავშირებს არა მარტო სამეცნიერო, არამედ დიდი საზოგადოებრივი დატვირთვაც აქვს.

თამარ ლომთაძე

„ისა ვარ, რაცა ვარ“

ქართველი კომპოზიტორი ისრაელში

20 სექტემბერს, ისრაელის ქართველ ებრაელთა თემის ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ ინიციატივით, ისრაელს ეწვივნენ საქართველოს დამსახურებული ხელოვანი, სახალხო არტისტი, ცოცხალ კლასიკოსად აღიარებული კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი და მისი მეუღლე, პოეტი მანანა დანგაძე. აღსანიშნავია, რომ 84 წლის მაესტროსათვის ეს წმინდა მიწაზე პირველი ვიზიტი გახლდათ და რაც მთავარია, იგი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. არაჩვეულებრივი მუსიკალური და პოეზიის საღამო, ქ. ბათ-იამის ,,ეშკოლ პაისის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართა „ქართველ ებრაელთა მრავალრიცხოვანი თემის, ისრაელში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისა და მთელი ისრაელელი ხალხისთვის მიძღვნილი უანგარო საჩუქარია“ - აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში „გულთა კავშირის“ პრეზიდენტმა ავრაამ-პაატა იოსებაშვილმა. ბატონი ვაჟას შემოქმედების წმინდა მიწაზე პირველად, ცოცხლად აჟღერებას, სცენიდან გულითადად მიესალმა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბატონი პაატა კალანდაძე. მან განსაკუთრებული ხაზი გაუსვა ქართული, ჭეშმარიტი, მაღალი ხარისხის ქართული კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდისთვის ქართველ ებრაელთა თემის მიერ გაწეულ ამაგს და იმედი გამოთქვა, რომ ბატონი ვაჟასა და ქალბატონი მანანას პირადი ძალისხმევა ამ კუთხით, საქართველო-ისრაელის ურთიერთობის განვითარების საქმეში ჭეშმარიტად კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

აზარაშვილი-დანგაძის შემოქმედებითი საღამო მიჰყავდათ პოეტ ნუგზარ ჯანაშვილს და საქართველოს ღირსების ორდენოსან პედაგოგს ლია კრიხელს, ხოლო დარბაზი სავსე იყო ბატონი ვაჟას შემოქმედების დამფასებელი ქართველი და ებრაელი მსმენელით. დიდ ეკრანზე გადიოდა ნაწყვეტები მაესტროს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმებიდან, დარბაზში კი ავტორის შესრულებით, ცოცხლად ჟღერდა „დინამო“, „ტანგო“, „ისა ვარ, რაცა ვარ“ და მრავალი სხვა. ჰოდა, ვიდრე ბატონი ვაჟა თავისი უკიდეგანო ხიბლითა და ნიჭიერებით საბოლოოდ მონუსხვადა აუდიტორიას, პირდაპირ პარტერიდან, ექსპრომტად ძველი მეგობრები, საქართველოში აღზრდილი და დღეს საერთაშორისოდ აღიარებული კომპოზიტორები იოსებ ბარდანაშვილი და რუბენ კაჟილოტი შეეხმიანენ. იქვე, ადგილზე არაჩვეულებრივი, სამთა ტანდემი დაიბადა და დაიწყო ის, რასაც კომპოზიტორები მთელ მსოფლიოში „მუსიკოსები იცინიან“ -ს ეძახიან. ამას სრულიად უშუალოდ მთელი დარბაზი აყვა და საღამო საყოველთაო ზეიმად იქცა, რომელიც ბატონმა ვაჟამ მანანა დანგაძის ლექსზე „საქართველო“ დაწერილი სიმღერით დააგვირგვინა და რომელიც ამღერებულ დარბაზთან ერთად ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ჰიმნივით ჟღერდა.

მეორე დღეს, 21 სექტემბერს, ბატონი ვაჟა აზარაშვილი და ქალბატონი მანანა დანგაძე „გულთა კავშირის“ წევრებთან ერთად საქართველოს საელჩოს ეწვივნენ. მაესტრო და მისი მეუღლე მეგობრებთან ერთად საკუთარ ოჯახში მობრძანდნენ და საქართველოს ელჩთან ქართული კულტურის მსოფლიოში გატანისა და პოპულარიზაციის საქმეში არსებულ პრობლემებზე, ასევე, ქართულ-ისრაელური კულტურული ურთიერთობების მრავალმხრივ განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს. დამშვიდობებისას ბატონმა ვაჟამ საელჩოს საჩუქრად თავისი ნაწარმოებების აუდიო და ვიდეო ფირფიტები უსახსოვრა.

ერების მეგობრობა ადამიანების მეგობრობით იწყება

მ ა ი კ ო



ბოლოს შარშან ორჯერ ვნახე თბილისში: ჯერ ეროვნულ ბიბლიოთეკაში სერგო ფარაჯანოვის საღამოზე, მერე კი ხელოვნების სასახლეში პიერ და ბადრი კობახიძეებისადმი მიძღვნილ ფეშენებელურ გამოფენაზე. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი იყო, რა ლაღი, რა ბედნიერი. როგორ ბრწყინავდა და ხარობდა. ვინ იფიქრებდა, რომ ერთი წლის მერე აღარ იქნებოდა. ძალიან დიდი მადლობა იმ გამოფენის მომწყობთ და თამრიკო ლორთქიფანიძეს.

სანამ მაია კობახიძის მოგონებას უდიდესი გულისტკივილით განვაგრძობ, ერთ საკითხს შევეხები: დღეს, როცა თანამედროვე სამყაროში ესოდენ მძლავრობს მხოლოდ პირად ხეირსა და გამორჩენაზე გათვლილ ურთიერთობათა ბუღალტერია; როცა ადამიანი ადამიანისთვის, ფაქტობრივად, მგლად იქცა, წარსული ხშირად მახსენებს თავს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იმ დროს ვაიდეალებ: 2000-იანი წლების დამდეგს ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტი რუსიკო ვაშაკიძე პროგრამისთვის „ნაშუადღევი“თბილისში სტუმრად მყოფ საერთაშორისო კლასის ჟურნალისტს, მელორ სტურუას მასპინძლობდა. მდიდრული ოტელის ვესტიბიულის სავარძელში მჯდომ, ლონდონსა და ვაშინგტონში ხანგრძლივი ბრწყინვალე კარიერით მოღლილ და უკვე ასაკში მყოფ სტუმარს ყველა ცხოვრებისეული პიკი კარგა ხნის დაპყრობილი ჰქონდა. კითხვაზე – თუ დარჩა რამე თქვენს ცხოვრებაში, რაზედაც გული გწყდებათ, მელორ სტურუამ გულწრფელად აღიარა: „–ძალიან ვნანობ, თუკი შემეძლო ვინმეს რამეთი დავხმარებოდი და არ დავეხმარე. მერწმუნეთ, ცხოვრებაში ეს ყველაზე მთავარია!“ ისიც მახსოვს, თეატრალურ ინსტიტუტში ჩვენმა რექტორმა ეთერ გუგუშვილმა იმ ავბედით ოცდაჩვიდმეტ წელს დახვრეტილი მამამისის დამჭერ, უშიშროების მაღალჩინოსან ტრიფონ რუხაძის ქალიშვილი ინსტიტუტში სამუშაოდ რომ მიიღო, თანაც, რექტორატში. თუმცა, სამწუხაროდ, ყოფილი მაღალჩინოსნის ასული მალე გარდაიცვალა მძიმე სენით. დღეს, როცა ვუყურებ გარდასული საბჭოთა ეპოქის აღიარებულ ვარსკვლავებზე გადაღებულ დოკუმენტურ ტელეფილმებს, მათ შემოქმედებას ერთგვარ ცხოვრებისეულ რეფრენად გასდევს „Она мне помогла“... „Я ему помог“... „ Они им помогли“... იყო დრო, როცა სრულიად უცნობ ადამიანებს ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ეხმარებოდნენ. უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში პრობლემას არაერთ სრულიად უცხო მთხოვნელს უგვარებდნენ. ეს თავიანთ საზოგადოებრივ მისიად მიაჩნდათ და ძალზე ეამაყებოდათ. არაერთი ასეთი მაგალითის ჩამოთვლა შემიძლია.

მაია კობახიძე, პირველ რიგში, სწორედ ადამიანურ, ცხოვრებისეულ კონტექსტში მინდა მოვიგონო. მაიკო თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანი. პირველი კურსის პირველივე ლექციაზე ბრწყინვალე პროფესორ ელენე თოფურიძეს შემოჰყვა ასისტენტად. მერე თავადაც გვიკითხავდა ლექციებს. მერე ჩემს დასაც უკითხავდა. მერე მაიკო იგორ პილიევს გაჰყვა ცოლად. იგორი კი ჩემი თანაკურსელი იყო. ყოველივე ამან ძალიან დაგვამეგობრა, თანამოაზრეებად გვაქცია. ჩვენი პირადი ურთიერთობა ჩვენი ოჯახების მეგობრობასა და ახლობლობაში ბუნებრივად გადაიზარდა. რამდენს ვმოგზაურობდით ერთად, პიერ კობახიძის მშობლიური ხამისქურიდან დაწყებული მოსკოვით დამთავრებული. ვინ მოთვლის უამრავ შეხვედრებსა და ივენთებს. ჩვენი ოჯახის წევრებიც ერთად ისვენებდნენ სინოპსა თუ ბობოყვათში. მაია და იგორი ჩვენი სამეგობრო წრის გენერატორები იყვნენ. მათთან სამზარეულოში ხშირად ღამის გათენებამდე ვისხედით. ბატონი ბადრიც გვიერთდებოდა. რამდენს ვკამათობდით, ვმსჯელობდით, რას აღარ განვიხილავდით – პროფესიულად და პიროვნულად ვიზრდებოდით. იმ დაუვიწყარი შეხვედრების სულისკვეთების საილუსტრაციოდ ფრაგმენტს მოვიხმობ მიხაილ ფელდმანის პოეტური ოპუსიდან “Свеча Пастернака“:

„... Сколко было открытий! Как мы строили замки!

Как надеялись выйти за постылые рамки,

Сколько чуши пороли головою и сердцем –

Всё искали пароли к заколдованным дверцам,

Всё не спали ночами в ожидании знака,

Согреваясь лучами от свечи Пастернака“...

(დღვანდელი კონიუნქტურული ფონის გათვალისწინებით, ყოველი შემთხვევისთვის ბოდიშს ვიხდი რუსული ტექსტის გამო. თუმცა, იმასაც ვითვალისწინებ, რომ კულტურულ მკითხველზე ვაპელირებ. ამასთან დაკავშირებით, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის ავანზალში გამართულ ერთ-ერთ საკავშირო სიმპოზიუმზე გენიალური მეიერჰოლდისტის, კონსტანტინ რუდნიცკის ის გამოსვლა მახსენდება, როცა ერთმა დამწყებმა ბალტიისპირელმა კრიტიკოსმა სიტყვა უხეშად შეაწყვეტინა: - რატომ უნდა გისმენდეთ ეხლა თქვენ რუსულად, როცა მე რომელიმე ფრანგის ან ამერიკელის გამოსვლა უფრო მაინტერესებსო. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ამ უზრდელობას არ უპასუხა).

ინსტიტუტის მერე ყოველი შეხვედრისას მთხოვდა, დისერტაციის დაცვას ნუ აგვიანებო. ერთ ზაფხულს წყნეთის სამთავრობო აგარაკიდან დამირეკა, საღამოს ამოდიო. ავედი. მითხრა, იგორი სერიოზულად ფიქრობს მოსკოვში გადასვლაზე. არ ვიცი, როგორ გავრისკო, ეს მოწესრიგებული ყოფა როგორ მივატოვოო. გამომშვიდობებისას კი გამომიცხადა: როგორც ჩანს, დისერტაციისთვის თავის მოსაბმელად გარკვეული რეჟიმი გჭირდება. ჩვენ შენთვის ლენინგრადის ასპირანტურაში ჩაბარება მოვიფიქრეთ. ხვალ სამსახურში იგორი მანქანით მოგაკითხავს და ლენინგრადში გასაგზავნი საბუთების შეგროვებაში დაგეხმარებაო. აი ასე, მაიკოს ძალდატანებით წავედი ლენინგრადში. იქ დაბინავების პრობლემაც აქედან მომიგვარა. სამეცადინოდ წიგნებიც მისივე ბარათით გამოვიტანე ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან და პირთამდე სავსე ჩემოდნით გავემგზავრე. რა ტყუილად ვიწვალეთ – ბიბლიოთეკა და წიგნები ლენინგრადშიც ხომ იყო. სხვა დროსაც, არც კი ვიცოდი, ისე ფიქრობდა, თუ რა და როგორ აჯობებდა ჩემთვის ან რომელიმე მეგობრისთვის. ყველას გვახსოვს მისი უზარმაზარი ამაგი და ძალისხმევა ირა პოდკოპაევაზე, რითაც აშკარად დასაღუპად განწირული ნიჭიერი მსახიობი ნორმალური ცხოვრებისკენ შემოაბრუნა. ჯერ იყო და, კაი ხანს თავისთან სახლში აცხოვრა და მკურნალობაში ხელს უწყობდა, რაც ნამდვილად არ იყო იოლი. მერე კი მაშინდელი მთაწმინდის რაიონის ხელმძღვანელ ვაჟა ლორთქიფანიძესთან რეკომენდაცია გაუწია, რის შედეგადაც მსახიობს ოროთახიანი ბინა მისცეს მაჩაბლის ქუჩაზე. ამგვარი თანადგომით ირას პროფესიული კარიერაც შეანარჩუნებინა. თუმცა, საბოლოოდ, ისიც მოსკოვში გადავიდა. სხვათა შორის, ირა გენიალური რეჟისორის, ნეკროშუსის თანაკურსელი იყო. ისიც მახსოვს, მაიკომ თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთ დიპლომანტს ბანკეტისთვის წყნეთში ვირსალაძეების აგარაკი რომ დაუთმო. ასე რომ, ყოველგვარი კომპლიმენტარულობის გარეშე, თუკი ვინმეზე ფიგურალურად ითქმოდა „Бюро добрых услуг“ ან „Распахнутая душа“, მაიკო პირველთა შორის მოიაზრებოდა. ეს ყოველივე კი ოჯახიდან თანდაყოლილი სულიერი სიმაღლისა და ნატიფი კულტურის შედეგი იყო. ოჯახიდან, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ ჰქონდა ადამიანის ეროვნებას ან სოციალურ ცენზს. მახსოვს, ერთ-ერთ წვეულებაზე მათთან სახლში სტუმრად მყოფი ვალენტინ გაფტის, ალექსანდრ ბარტაშევიჩის, ვენია და ალიკა სმეხოვების, ადოლფ შაპიროს, ლეონიდ იერმოლნიკის, კატია უფიმცევას, ოვიკ ოვოიანის და სხვა არაერთი მეტად მჟღერი პერსონის გვერდით, სუფრას უსხდნენ გრიბოედოვის თეატრის გამნათებელი ყმაწვილი სამველი და ბატონი ბადრის მძღოლი არკაშა.

რაც შეეხება მის პროფესიონალიზმს: ერთ-ერთ საკავშირო თბილისურ ფესტივალზე, მარჯანიშვილის თეატრში მარკ ზახაროვის მიერ „Ленком“-ში დადგმული შექსპირი წარმოადგინეს. სპექტაკლის მერე, განხილვაზე სიტყვა მაია კობახიძეს მისცეს. მან საოცარი ტაქტითა და კომპეტენტური სიღრმით სპექტაკლი, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორა. აუდიტორია გატრუნული უსმენდა. მარკ ზახაროვი — გაფითრებული. ამ ყოველივეთი უკმაყოფილო გიგა ლორთქიფანიძე, როგორც ქართული თეატრის თავკაცი, მასპინძლურ დისკომფორტსა და წყრომას ვერ მალავდა. მაიას ის გამოსვლა არამარტო თეატრალური კრიტიკის, არამედ თეატრალური ფილოსოფიის და ორატორული ხელოვნების ანუ ელოკვენციის უმაღლესი სტანდარტი გახლდათ. და საერთოდაც, რასაც იტყოდა, ლაზათიანად იტყოდა, თუნდაც ერთი ფრაზით: მაჩაბლის ქუჩის სკვერში სანდრო ახმეტელის ბიუსტის (ავტორი - მერაბ ბერძენიშვილი) გახსნაზე ვიყავით. როცა ტილო ჩამოხსნეს, მაიკომ ბიუსტს თვალი შეავლო და გაიღიმა: - Он на римского патриция похож!.. უთუოდ უნდა გავიხსენო თეატრის მოღვაწეთა კავშირის ერთ-ერთი ყრილობაც, მაშინდელი უზენაესი საბჭოს (ამჟამინდელი პარლამენტის) პლენარულ დარბაზში რომ გაიმართა. სწორედ იმ ყრილობაზე დადგა გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტირების საკითხი. ყრილობის დამსწრეთა შორის მეც გახლდით და დარბაზში მაიას გვერდით ვიჯექი. ბატონი ბადრი, როგორც სპიკერი, პრეზიდიუმიდან წარმართავდა თეატრალთა იმ მეტად წარმომადგენლობით თავშეყრას. ყრილობის მაღალი ტრიბუნა მაია კობახიძესაც დაეთმო. როგორც ყოველთვის, მისი ის გამოსვლაც აღსავსე იყო საქმიანი პრინციპულობით და საგულისხმო მესიჯებით. სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით. საღამოს კი, ტრადიციულად, კობახიძეებთან სახლში შევიკრიბეთ. ბატონი ბადრიც შემოგვიერთდა. რაღაც მომენტში მომიტრიალდა და მითხრა: - იცი, დღეს მაიკოს გამოსვლისას პრეზიდიუმიდან დარბაზში თვალს არ გაცილებდი. ჩუმად გტესტავდი. ეგებ რაღაც შური შემემჩნია. შენც არ მომიკვდე. სკამის საზურგიდან წინწამოწეული გაფაციცებით უსმენდი და თანხმობის ნიშნად უნებურად თავს უქნევდი. ყოჩაღ, მაიკოსთან შენს ნაღდ ურთიერთობაში საბოლოოდ დავრწმუნდი და გამეხარდა. არ გეწყინოს – მამა ვარ და მაინტერესებდა, ჩემი შვილი მეგობარში ხომ არ ცდებოდაო.

როცა მარჯანიშვილის თეატრში თელაველებმა „ალალე“ წარმოადგინეს, სპექტაკლის მერე იგორმა მანქანით წამოგვიყვანა ბატონი ბადრი, მაიკო, მე და ჩემი და. წარმოდგენაში მოჭარბებულმა დოლ-გარმონმა და ტაშ-ფანდურმა, ეტყობა, ბატონ ბადრის გუნება-განწყობილება გამოუკეთა და, – სპექტაკლი მომეწონაო, გვითხრა. – რას ამბობ, – მოიღუშა მაიკო. რომ ვერ შეთანხმდნენ, – შენ რას იტყვიო, – მომიბრუნდა ბატონი ბადრი. მამათა და შვილთა დაპირისპირების „კლასიკურ სქემაში“ არბიტრის როლი არ მომეწონა და სასწრაფოდ რედაქციიდან გამოყოლილ იმდღევანდელ „ცხელ“ ნიუსზე გადავატანინე ყურადღება.

მაია კობახიძის სამეცნიერო ჰიპოსტასის საილუსტრაციოდ მისი დისერტაციის გახსენებაც კმარა. თემა აბსურდის თეატრს, კონკრეტულად კი ჰაროლდ პინტერის შემოქმედებას ეხებოდა. აბსურდის მიმდინარეობა იმ საბჭოთა დროში ჩვენთან ბურჟუაზიულ იდეოლოგიად ითვლებოდა და იკრძალებოდა ისევე, როგორც ომის შემდგომი ევროპული ინტელექტუალიზმის სხვა განშტოებები. დასავლეთში უკვე კლასიკად ქცეული ის განშტოებები ჩვენში მაშინ ახალი, „ეგზოტიკური“ და თან, უიშვიათესი ხილი იყო. ერთადერთი, რაც მათ შესახებ ინფორმაციას იძლეოდა, იყო მოსკოვში ლამის დისიდენტურად და ძალზე მცირე ტირაჟით გამოცემული ბრწყინვალე კრებული „На сцене и в кино“. ეს გახლდათ ლონდონის გაზეთ „ობზერვერის“ მიმომხილველის, კენეტ ტაინენის გენიალური სტატიების რჩეული, რომელიც ძალზე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკას ერთადერთი ეგზემპლარი გააჩნდა და მასზე ნამდვილი ნადირობა იყო გაჩაღებული. ამ ფონზე, მაშინდელი პროგრესული პერსონების ძალისხმევით ნიკო ყიასაშვილთან და გელა ჩარკვიანთან შტუდირებული ბრწყინვალე ინგლისურით, მაია კობახიძე პირადად ჰაროლდ პინტერთან სტაჟირების გასავლელად და დისერტაციის მოსამზადებლად ერთი წლით ლონდონში მიავლინეს.

დისერტაციის დაცვა თბილისში ნამდვილი კულტურული შოკი იყო. საკავშირო სივრცეში კი პრეცედენტი გახლდათ და მას თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის ინტელექტუალური ელიტა ესწრებოდა. თეატრალური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იყო. სპეციალურად ჩამოსულ სტუმართა არნახული რაოდენობის გათვალისწინებით, მაიამ მსჯელობა რუსულ ენაზე სპონტანურად წარმართა. შეკითხვებსა და კამათს ბოლო არ უჩანდა. დისერტანტი ძალზე ღრმად და არგუმენტირებულად, თან, მომხიბვლელი შარმით პასუხობდა. არ ვაჭარბებ, ეს ნამდვილი ტრიუმფი იყო!

ერთი დეტალი მისი ლონდონური პერიოდიდან: იმ ერთწლიანი მივლინების შუაში მაიკოს ორკვირიანი არდადეგები ერგებოდა და, როგორც ტურისტს, შეეძლო ინგლისში ემოგზაურა. ამას სამივლინებო პროგრამა ითვალისწინებდა. მითხრა, ამ შემოთავაზებაზე კატეგორიული უარი განვაცხადე და სასწრაფოდ თბილისში გამოვვარდი. ნახევარი წლის უნახავ ჩემებთან ერთად, იგორიც ძალიან მენატრებოდა. სწორედ მაშინ გამოვუტყდი დათო ვირსალაძეს, რომ მასთან განქორწინება და იგორის ცოლად გაყოლა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. დათომ ყველაფერი კარგად გაიაზრა და მირჩია: – ჯერ წადი, კუთვნილი მეორე სემესტრი მოითავე და რომ დაბრუნდები, მერე განვქორწინდეთ. ახლა რომ გავიყაროთ, მოსკოვი ლონდონში ხელახლა გამგზავრების ნებას აღარ დაგრთავსო. მეც მაშინვე დავეთანხმე და ამის გამო დღემდე მისი ძალიან მადლობელი ვარო. ეს ფრაგმენტი დიდი ადამიანური კულტურის, პიროვნული სიმაღლის საილუსტრაციოდ მოვიხმე. გაყრა ხომ თავისთავად უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ ასეთ დროს გამოვლენილი ესოდენი ურთიერთპატივისცემა მართლაც გასაოცარია (მაიკო ოჯახით შესანიშნავ ურთიერთობებს ინარჩუნებდა როგორც ვირსალაძეებთან, ისე ტასიკოს ყოფილ მეუღლე გიორგი მარგველაშვილთან, ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტთან). მერე მაია შეერთებულ შტატებში მიიწვიეს ხანგრძლივ პროფესიულ პრაქტიკაზე. მერე კი პარიზში. სხვათა შორის, სწორედ მაიკოს თარგმნილია ქართულად გიორგი ტოვსტონოგოვის შესანიშნავი წიგნი „რეჟისორის პროფესია“. წიგნი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს ქრესტომათიული მნიშვნელობა.

სხვა დანარჩენთან ერთად, მაიკოს ბადრისგან მემკვიდრეობად ადამიანური კავშირების უმდიდრესი სპექტრი და ვრცელი გეოგრაფია ერგო. უამრავ მეგობართა შორის გამორჩეულად ღირსეული მიხაილ შვიდკოი გახლდათ. როცა ბადრი გარდაიცვალა, ერთ-ერთ საერთა-

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

ბ ე ხ ე ბ ი ს ა

თორის თავში "ლეხ-ლეხა" წერია: წადი შენი ქვეყნიდან,შენი სამშობლოდან, შენი მშობლიური ოჯახიდან, ქვეყანაში ,რომელსაც მე მიგითითებ.

შელომო მელეხი "მიშლეიში" ამბობს: ბრძენებთან მოსიარულე იქნება ბრძენი, ხოლო სულელებთან მომეგობრე - გაირყვნება. ეს ფასუკი გვასწავლის, რომ ადამიანი უნდა ცდილობდეს, ახლოს იყოს ბრძენებთან, ჭკვიან და წესიერ ადამიანებთან და მოსცილდეს რაშაყებს.

ვინც მუდმივად არის ბრძენებთან, ის მუდმივად ფიქრობს ჰაშემზე, ხოლო რაშაყების წრეში ჰაშემს ადვილად დაივიწყებს, ამას გვაფრთხილებს თალმუდი (სუქა 56ბ)-ვაი რაშაყს და ვაი მის მეზობელს, ამიტომ ჰაშემი უებნება ავრაჰამს: მოსცილდი სამშობლოს, რადგან მანდ რაშაყები ცხოვრობენ.

ხახმები ამბობენ: ავრაჰამ ავინუ ჰგავს ჭურჭელს სასაიმოვნო სურნელებით, რომელიც დგას უწმინდურ ადგილას, იქ საერთო ცუდი სუნის გამო, არავინ აღარ გრძნობს ავრაჰამის სასიამოვნო სურნელს და თუ ამ ჭურჭელს სხვაგან გადავდგამთ, გავიგებთ მის სურნელს.

ასევე იყო ავარჰამ ავინუც მანამ სანამ ის იყო კერპთაყვანისმცემლებს შორის. ამიტომაც უთხრა ჰაშემმა დატოვე ეს ქვეყანა. ეს იყო მისი პირველი გამოცდა, რომ წასულიყო ამ ქვეყნიდან, სადაც გააატარა მთელი თავისი ცხოვრება, სადაც მას იცნობდნენ და წასულიყო სრულიად უცხო ქვეყანაში

ჰაშემი მას პირდება: მე გაგამრავლებ და გაქცევ დიდ ერად, მოგამაღლებ და გაკურთხებ

ხახმები ამბობენ გზაში ადამიანს სამი უსიამოვნება ელოდება:

1. რთულდება გამრავლება-ბავშვის ჩასახვა და დაბადება,
2. მატერიალური ზარალი-გზა ყოველთვის ჯდება ძვირი,
3. აზიანებს მის სახელს, რადგან ახალ ადგილზე მას საერთოდ არ იცნობენ,

ჰაშემი პირდება ავრაჰამ ავინუს, რომ მას არა მარტო არ შეეხება ეს პრობლემები, პირიქით, გამრავლდება, გამდიდრდება და იქნება პატივცემული.

თალმუდის ტრაქტატში „როშ-ჰა-შანა“ (16 ბ) წერია: ამბობს რაბი იცხაკი: ადამიანმა ხუთი საშუალებით შეიძლება აიცილოს უბედურება:

1. ქველმოქდებით -მონყალებით,
2. ლოცვით - ჰაშემთან მიმართვით,
3. სახელის შეცვლით,
4. საქციელის შეცვლით
5. საცხოვრებელი ადგილის შეცვლით,

და წავიდა ავრაჰამი, როგორც უბრძანა მას ჰაშემმა - და როგორც ვიცით, ამ დროს ის არის 75 წლის. წაყვნენ მას სულები, რომლებიც შეიძინეს ხარანში, ის ადამიანები, ვინც დაიჯერეს მისი და სარას გზა - ერთი ჰაშემის სამსახურის.

,,მიდრაშ თანხუმ“ ამბობს: როდესაც ჰაშემმა უთხრა ავრაჰამს - ლეხ- ლეხა, ამით მიანიშნა, რომ მას 100 წლის ასაკში ეყოლება შვილები, რადგან გემატრია სიტვისა ლეხ-ლეხა - შეადგენს -100.

ავრაჰამი მთლიანად არის მინდობილი ჰაშემზე და დარწმუნებულია რომ მას მიიყვანენ საუკეთესო ადგილას, ამიტომ თან მიაქვს ყველაფერი, რასაც ფლობს და მიჰყავს თან მისი და სარას მიერ ჰაშემის გზაზე დაყენებული ხალხი.

ჰაშემმა გაგვაძლიეროს რომ გვესმოდეს და გავიგოთ ყველაფერი რასაც ჰაშემი ითხოვს ჩვენგან შევასრულოთ ისევე ზედმიწევნით როგორც ამას აკეთებდა ავრაჰამ ავინუ.

შაბათ შალომ!

შორისო კონფერენციაზე მიმავალმა მიხაილ ეფიმიჩმა მარშრუტი მყისიერად შეცვალა – მოსკოვიდან ჯერ თბილისში ჩამოფრინდა. როცა შვიდკოი საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალ „Театр“-ის რედაქტორი გახლდათ, მის შემოქმედებით ლაბორატორიაში საკავშირო სემინარზე თბილისიდან მაიკო და მე გაგვაგზავნეს. მაშინ მართლაც დიდი სკოლა გავიარეთ არამარტო პროფესიული, ადამიანური თვალსაზრისითაც. მათთან სახლში (ტვერსკაიაზე ცხოვრობდნენ, ახალი „МХАТ“-ის მოპირდაპირედ) სადილად მიგვიწვია შვიდკოის მეუღლემ – მარინამ (მკითხველს შევახსენებ: მარინა გია დანელიას „მიმინოში“ ის სტიუარდესაა, რომლის გამოც ბუბა კიკაბიძის პერსონაჟი მზად არის თვითმფრინავიდან გადახტეს). შვიდკოების ბინა იმავე სართულზე ფოტოხელოვან ვიქტორ და მსახიობ საშა ბაჟენოვების ბინის მოპირდაპირედ აღმოჩნდა. ცოლ-ქმარი ბაჟენოვები ჩემი ოჯახის მეგობრები იყვნენ და მოგვიანებით სტუმრობა მათთან განვაგრძეთ. სხვათა შორის, ჩვენი პატრიარქის 80 წლის იუბილეზე სტუმრად ჩამოსული მიხაილ ეფიმიჩი საპატრიარქოში ღამის 12 საათზე ბანკეტის დასრულებისას ვნახე. მისი სემინარები მოვაგონე. მაიკოც მოვიკითხე. რაკი ჩვენს ამ შეხვედრას თვით უწმინდესიც შეესწრო, მაღალ სტუმარს მართლაც უნიკალური ფაქტი გავუმხილე: – იცით, მე, აბსოლუტურად რიგით ებრაელს, პლანეტარული ავტორიტეტის მქონე ჩვენი მართლმადიდებელი პატრიარქი ყურადღებას და ნუგეშს არ მაკლებს-მეთქი. სახეგაბადრულმა უწმინდესმა ბავშვივით დაიმორცხვა. „Да. Он у нас вот такой славный“ –გაიღიმა შვიდკოიმ და პატრიარქს მხარზე ეამბორა.

როცა კოტე მახარაძემ „ერთი მსახიობის თეატრში“ ლიტნაწილად მიმიწვია, ერთხელ შუაღამისას მაიას და იგორის სატელეფონო ზარმა გამომაღვიძა: – ეს წუთია, ნუგზარ ნადარაიასთან საოჯახო წვეულებიდან დავბრუნდით. თამადა კოტე მახარაძე იყო და ჩვენი ოჯახის სადღეგრძელოს ერთი „პარაგრაფი“ პირადად შენ მოგიძღვნა. უნდა გენახა, ბაკურ გულუას და ბონდო ჯიქიას შენს თავს როგორ უპიარებდაო. მათი ნათქვამი, ნამძინარევს, რა თქმა უნდა, მესიამოვნა და გავიტრუნე. „– Марин, ты что, ханжа?“ – მსუსხავი რეპლიკით გამომაფხიზლა უნებლიე ხიბლიდან იგორმა და სამივენი ტელეფონში გულიანად ავხარხარდით.

კულტურის სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილედ მაიას დანიშვნა გაზეთ „დრონში“ ჩემს ჟურნალისტურ პერიოდს დაემთხვა. მაშინ მინისტრის პოსტზე ვალერი ასათიანი დათო მაღრაძემ შეცვალა. ბატონი ვალერი კი „ცეკას“ კულტურის განყოფილებაში გადაიყვანეს.

მერე კი მაიამ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი დატოვა და საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. ტასიკო ლომონოსოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ნეკა დიდი თეატრის საბალეტო დასის სოლისტი გახდა (სხვათა შორის, სანამ ნეკა დიდი თეატრის საბალეტო სტუდიაში სწავლობდა, ის და მაიკოს დედა, ქალბატონი ნელი ბოკუჩავა, მოსკოვში ბალეტის ცნობილ ვარსკვლავ მიხაილ ლავროვსკის დედასთან, ქალბატონ ელენე ჩიკვაიძესთან ცხოვრობდნენ მასპინძლის გარდაცვალებამდე. ნეკასთან დაკავშირებით ერთი სახალისო ფრაგმენტი მისი ბავშვობიდან: დილით ახალგამოღვიძებული ნეკა ბებიას მაიკოზე ნანახ თავის სიზმარს უყვებოდა, რასაც ბატონი ბადრი შემოესწრო და დაინტერესდა: - მერე, მერე? ნეკა გაოცდა: - რა მერე, შენც ხომ იქ იყავი?!). მოსკოვში იგორი მიხაილ შვიდკოის ძალისხმევით გახსნილი ძალიან კარგი ტელეარხის, „კულტურის“ დირექტორის მოადგილედ მიიწვიეს. მაიკო, როგორც პროფესიონალი, მოსკოვისთვისაც სასურველი კადრი აღმოჩნდა. ახალ სივრცეში ინტეგრირება, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია და ბრწყინვალე კარიერა იქაც განაგრძო. ჯერ იყო და, რუსეთის კულტურის მინისტრის, მიხაილ შვიდკოის მოადგილე გახდა. მერე შვიდკოის მიერვე დაარსებული საერთაშორისო კულტურული კავშირების მაკოორდინებელი ცენტრის დირექტორის მოდგილე. ბოლოს, შვიდკოი, საერთაშორისო კულტურული კავშირების განხრით, რუსეთის პრეზიდენტის პირად მრჩველად გადაიყვანეს და დღემდე იმ პოსტზეა. მაია კი რუსეთის სატელევიზიო პრემიების – „ტეფის“ ანუ რუსული ტელეოსკარების მიმნიჭებელი კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს, სადაც ის ბოლომდე პოზიციონირებდა.

ჩვენ კი, მისი თბილისელი მეგობრები, სასტიკი ცხოვრების პირისპირ დარჩენილები, დავიშალეთ, დავცალკევდით და ამ პროცესს ალბათ ყველაზე უკეთ ზემოთ უკვე მოხმობილი იმავე მიხაილ ფელდმანის ლექსის გაგრძელება გამოხატავს:

„ ... Побренчим на гитаре, попоем о высоком:
Про отсутсвие рамок, про те старые кухни,
Про воздушный наш замок, что возьми, да и рухни,
О свече Пастернака и о прочем, о вечном,
Что не вышло, однако, в суете уберечь нам...”

დიდუბის პანთეონის ეკლესიაში თბილისელმა მეგობრებმა მაიკოს სულის საოხი პანაშვიდი მოსკოვში მისი დაკრძალვის მომენტს სინქრონულად დაამთხვიეს. მერე პიერის, ბადრის და ქალბატონ ნელის საფლავზე გავედით. როცა იმ პანაშვიდზე მივდიოდი, სანაპიროზე ტაქსმა გზად კობახიძეების ყოფილ სახლს ჩაუარა. თვალში მეცა ფასადის კედელზე მემორიალური დაფების რიგი. ეკლესიაში მისულმა გულსუნდა სიხარულიძეს ვუთხარი, ალბათ იმ სახლზე ბადრი და მაია კობახიძეების მემორიალური დაფის გახსნის საკითხიც უნდა დაისვას-მეთქი. მაგ დაფას მე თვითონ, პირადად გავაკრავ, არავის ვთხოვო, მითხრა გულსუნდამ.

მახსოვს, ვაკის სასაფლაოზე ბატონი ბადრის დედის, ვერა მშვიდობაძის დაკრძალვიდან ვბრუნდებოდით. მაია ცალ ხელს პალტოს ჯიბიდან არ იღებდა. – იცი, ახლა ვალიას ბროში შევხსენი და სახსოვრად დავიტოვე. ჯიბეში მიდევს და ხელს ვერ ვუშვებ. ისეთი შეგრძნება მაქვს, როგორც ბავშვობაში, როცა ხელჩაკიდებულს დამატარებდაო. უცნაურია, სახეზე ბავშური უშუალობა და სინორჩე მაიას ბოლომდე შერჩა. ეს მისი ქარიზმა იყო. არ მახსოვს, ვინ მითხრა ერთხელ, მაია კობახიძეს და მარინა დმიტრიევსკაიას (პეტერბურგელი კრიტიკოსი) რომ ვუყურებ, მარადიული ბავშვობის ნამდვილად მჯერა. მათი დაბერება ვერ წარმომიდგენიაო. ეტყობა, ასე მალე რომ უნდა წასულიყო, იმიტომ იცხოვრა ძალზე ტევადი, საინტერესო და სისხლსავსე ცხოვრებით. თითქმის ყველაფერს მოესწრო, სიბერის გარდა. ამ ყოველივეზე წიგნიც კი დაიწერება.

ამბობენ, ადამიანმა გაჭირვება თავად თუ არ გამოიარა, სხვის უბედურებას ვერ გაიგებს, ვერავის დაეხმარებაო. სამწუხაროდ, ასეთია უბედურების სპეციფიკა. მაგრამ მაიას შემთხვევაში ეს ცხოვრებისეული თეზა გამორიცხული იყო. პარადოქსია, მაგრამ პიერ და ბადრი კობახიძეების დედისერთა, ნებიერ შთამომავალს ადამიანების და მათი მძიმე პრობლემების კარგად ესმოდა. როცა პოლიტიკურმა რეალობამ ჩვენს ოჯახს თავს იმგვარი სისასტიკე დაატეხა, თვით „სისასტიკის თეატრის“ მამას, ანტონენ არტოს ვერც დაესიზმრებოდა, პროფესიას ჩამოვცილდი, წერა საერთოდ შევწყვიტე. ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. მაიკო მოსკოვში კარგა ხნის გადასული იყო. ერთ–ერთ ჩამოსვლაზე, უხერხულობა რომ არ მეგრძნო, გოგი ყაჯრიშვილს ჩემთვის თანხა დაუტოვა, რომ გავემგზავრები, მერე გადაეციო. ვიცი, რომ მატერიალურად ჩვენს აწ გარდაცვლილ კოლეგასაც ეხმარებოდა.

თბილისში რომ დარჩენილიყო, არ ვიცი, ურთიერთობები როგორ გაგრძელდებოდა. ზემოაღნიშნული ამბების მერე ხომ ეპოქა რადიკალურად შეიცვალა, სამყარო ხომ უკიდურესად გასასტიკდა. ეს ყოველივე კი ადამიანებზე დაილექა და აისახა, რადგან ცხოვრება ცხოვრებაა და დროს თავისი ულმობელი კანონები აქვს. მაგრამ არ მინდა ამ შემზარავ რეალობაზე ფიქრი. მთავარია, რომ მაიკომ თბილი მოგონებები და პოზიტიური ენერგეტიკა უხვად დამიტოვა (თუ გნებავთ, ესეც ესოდენ გაპიარებულ ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობათა ერთი კონკრეტული მაგალითი!). რაც ესოდენ ვრცელ წერილში ანუ მის პორტრეტში მოვიხმე, ზღვაში წვეთია და ამისთვის უღრმესი მადლობა მას. სამწუხაროდ, ჩვენი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, თეატრმცოდნეები სულ სხვებზე წერენ. თეატრმცოდნეებზე არავინ წერს. ჩემი ამ წერილის მოცულობა სწორედ ამ სამწუხარო სპეციფიკამ განაპირობა.

ჩემდა სამარცხვინოდ, იგორთან და გოგონებთან არ დამირეკია. არ ვიცი, რა და როგორ ვუთხრა, რით ვანუგეშო. არც ის ვიცი, ეს წერილი როგორ დავასრულო. ალბათ ისევ ზემოთ უკვე ორგზის ციტირებული ფელდმანისეული „სანთლის“ ფინალური სტრიქონებით:

„...Приходите, ребята, вы ко мне на поминки, –
Бытие и утрата – это две половинки.
Ну а в целом, а в целом, было мило – не так ли? –
Прошвырнуться по сценам в этом дивном спектакле.
Я прошу вас – не плачьте, ни о чём не горюйте,
Хватит лазить по мачте, – посидите в каюте,
Просто так посидите в пустоте полумрака
И зажгите, зажгите мне свечу Пастернака...”

P.S. ეს წერილი კარგა ხნის დაწერილი მქონდა, როცა თამრიკო ლორთქიფანიძემ მაიკოს გარდაცვალებაზე მოსკოველთა გამოხმაურებები მომაწოდა. ამ დიდი გულისტკივილით აღსავსე ტექსტებიდან მინდა ნატალია უვაროვას ერთი ფრაგმენტი მოვიხმო: „Я помню, как Майя на планерках у М.Е. Швыдкого писала в блокноте японские иероглифы. Ей удалось выучить язык этой любимой для нее страны. Причем брала уроки каллиграфии и даже сделала несколько картин, две из которых висели у нее в кабинете. Помню, когда Майя только начинала учиться писать иероглифы, очень стеснялась и если кто-то это видел, сразу закрывала блокнот. Но он всегда был при ней – и на планерках, и на совещаниях, и на коллегиях… Ведь фестиваль российской культуры в Японии придумала именно она... С невероятной одержимостью пробивала и сегодня это очень важный фестиваль. Она очень любила Японию. Считала, что если и есть рай на Земле, то он – именно в этом месте. Любила все, что связано с этой страной – лица людей, язык, иероглифы, кимано, особую деликатность манер… В шутку или всерьез – говорила, что под конец жизни хотела бы жить в маленькой японской деревушке, смотреть на японские садики с их ручейками и водопадами... И неизменная орхидея в ее кабинете – и на пятом этаже в Китай-городе, и на третьем – в Гнездниковском, и на Беговой в ТЭФИ. Сегодня заходила в ее кабинет – ее любимая орхидея умерла. Это факт, а не аллегория… Вспомнила известную японскую поговорку – «Опавшая орхидея уже не вернется на ветку». Оторвался последний цветок. И Майи с нами нет“. აი, ასე უერთგულა ორქიდეამ მაიკოს. მის წასვლას ვერ შეეგუა და თავი მოიკლა...

მარინა გუზუკაშვილი

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

2. ვიზიტი მოლდოვაში

კონგრესის პრეზიდენტის — მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით, ებრაელ ლიდერთა ერთობ წარმომადგენლობითი დელეგაცია მოლდოვას ეწვია. დელეგაციაში შედიოდნენ: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი რობერტ ზინგერი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი, მოლდოვას ებრაული თემის თავმჯდომარე ალექსანდრე ბილინკისი, ეაე კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი იმანუელ გრინშპუნი, დელეგაციის წევრები შეხვდნენ მოლდოვას ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს კირილ გაბურიჩს, განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრს მონიკა ბაბუკს, საგარეო საქმეთა და ევროპასთან ინტეგრაციის მინისტრს ტუდორ ულიანოვსკის, სახელმწიფოს სხვა პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს. შეხვედრებზე საუბრის მთავარი თემა გახლდათ მოლდოვას ებრაული თემის განვითარება, ჰოლოკოსტის ისტორიის შესწავლა და ანტისემიტიზმთან ბრძოლა.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან კირილ გაბურიჩთან შეხვედრისას დაისვა ებრაული საკუთრების რესტიტუციის, ებრაელთა სასაფლაოების მოვლისა და ებრაული ტურიზმის განვითარების საკითხები. მინისტრმა დელეგაციის წევრებს აღუქვა, რომ დაიწყება ებრაელთა საკუთრების ჯერჯერობთ, თუნდაც ნაწილის დაბრუნების, ან სათანადო საზღაურის გადახდა.

განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრ მონიკა ბაბუკთან შეხვედრის წინ დელეგაციის წევრები მივიდნენ კიშინიოვის ,,ფაშიზმის მსხვერპლთა“ მემორიალთან, რომელიც აღმართულია ფაშისტური ოკუპაციის წლებში ჰოლოკოსტის, ბოშებისა და რუმინელების ხსოვნის საპატივცემლოდ, მინისტრთან შეხვედრისას კი განხილული იქნა ანტისემიტურ გამოვლინებებთან ბრძოლისა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავყოფის საკითხი. მონიკა ბაბუკმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს. სამინისტრო ანტისემიტიზმთან ბრძოლისა და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის შენახვის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს ებრაულ თემთან.

მოლდოვას საგარეო საქმეთა და ევროპასთან ინტეგრაციის მინისტრ ტუდორ ულიანოვსკისთან შეხვედრისას განხილული იქნა ანტისემიტიზმთან ბრძოლის სხვადასვა ასპექტი. კერძოდ აუცილებელია, ხელისუფლებამ საჯაროდ და მკაცრად დაგმოს ებრაელობისადმი სიძულვილის ყოველი გამოვლინება. ტ. ულიანოვსკიმ განაცხადა, რომ მოლდოვას ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად ადგას ტოლერანტობის გზას. მან ამ სახელმწიფოს ებრაელობისადმი გაწეული დახმარებისათვის მსოფლიოს ებრაელთა და ევრაზიის ებრაელთა კონგრესებს მადლობა გადაუხადა.

35 ებრაული ანდაზა, რომლებიც ცხოვრებაზე სხვანაირად დაგაფიქრებთ

ცნობილია, რომ ებრაელი ერი ბრძენია. მათი ყველაზე დიდი ხიბლი მათ ბრძნულ ანდაზებსა და გამონათქვამებშია.

1. თუ ფულის საშუალებით პრობლემის გადაჭრა შეგიძლიათ, მაშინ ეს არ წარმოადგენს პრობლემას, ეს უბრალოდ დანახარჯია.

2. ადამი პირველი იღბლიანი მამაკაცი იყო, რადგან სიდედრი არ ჰყავდა.

3. ღმერთმა ადამიანს ორი ყური და ერთი პირი იმისთვის მისცა, რომ ბევრი მოისმინოს და ნაკლები ილაპარაკოს.

4. ღმერთმა დაგვიფაროს ცუდი ქალებისგან, კარგ ქალებს კი თვითონ გაუმკლავდი.

5. უკეთესია ებრაელი წვერის გარეშე, ვიდრე წვერი – ებრაელის გარეშე.

6. ღმერთს არ შეუძლია ერთდროულად ყველგან იყოს - ამიტომაც შექმნა დედები.

7. ნუ იქნები ტკბილი, თორემ შეგჭამენ. ნუ გაცხარდები, თორემ გადმოგაფურთხებენ.

8. ყველა უფულობაზე წუწუნებს, ჭკუის ნაკლებობაზე კი არავინ ნაღვლობს.

9. გეშინოდეს შენს წინ მდგომი თხის, უკან მდგომი ცხენის და სულელის ყველა მხრიდან.

10. განათლება დიდ ადგილს არ იკავებს.

11. სამი დღის შემდეგ სტუმარსა და თევზს ცუდი სუნი ასდით.

12. თუ არ გსურს ვინმემ ყელი გამოგჭრათ, ნუ მოიხრით ქედს.

13. ორ ბოროტებას შორის, პესიმისტი ორივეს ირჩევს.

14. ყრუმ გაიგო, როგორ საუბრობდა მუნჯი, ბრმამ დაინახა თუ რა სწრაფად გარბოდა კოჭლი.

15. ღმერთი ღარიბებს ძვირი ცოდვებისგან იცავს.

16. ქველმოქმედება რომ არაფერი არ ღირდეს, ყველა ფილანტროპი იქნებოდა.

17. როცა ასაკოვანი ქალი თხოვდება, ის მაშინვე გარდაიქმნება ახალგაზრდა ცოლად.

18. მშობლები ბავშვებს საუბარს ასწავლიან, შვილები კი მშობლებს გაჩუმებას აჩვევენ.

19. შორიდან ყველა ადამიანი კარგი ჩანს.

20. ფული ვერ გაგხდის ისე კარგად, როგორც უფულობა გხდის ცუდად.

21. შესაძლოა კვერცხი ქათამზე ბევრად ჭკვიანია, მაგრამ ორივე სწრაფად ფუჭდება.

22. ჯერ არ დაბადებულა ცხენი, რომლითაც ახალგაზრდობას დაეწევი.

23. მამაკაცები მეტს გააკეთებდნენ, ქალები რომ ნაკლებს ლაპარაკობდნენ.

24. ჭაღარა - სიბერის ნიშანია და არა სიბრძნის.

25. კარგად გაჩუმება უფრო რთულია, ვიდრე კარგად საუბარი.

26. ცუდი ცოლი წვიმაზე უარესია: წვიმა სახლში აგდებს ადამიანს, ცუდი ცოლი კი პირიქით, სახლიდან აგდებს.

27. დედამიწას გაქრობა ემუქრება - არა იმიტომ, რომ ბევრი ადამიანია, არამედ იმიტომ, რომ ბევრი არაადამიანია.

28. ღმერთო! წამოდგომაში დამეხმარე - დაცემას თავადაც შევძლებ.

29. თუ ცხოვრება უკეთესობისკენ არ შეიცვლება, დაელოდე - ის უარესობისკენ შეიცვლება.

30. როგორი ტკბილიც არ უნდა იყოს სიყვარული, მისგან კომპოტს ვერ გააკეთებ.

31. როცა გასაკეთებელი არაფერი გაქვთ, რთულ საქმეებს შეეჭიდეთ.

32. ვისაც შვილი არ ჰყავს, ყველაზე კარგად შეუძლია ბავშვების აღზრდა.

33. შიშით სიკვდილს, სჯობია სიცილით მოკვდე.

34. გამოცდილება - სიტყვა, რომელსაც ადამიანები თავიანთ შეცდომებს არქმევენ.

35. დაბერებული ადამიანი ხედავს უარესად, მაგრამ ბევრს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003